



საქართველო
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.
LAGODEKHI
2700 GEORGIA
LAGODEKHI MUNICIPALITY
SAKREBULO TEL: (+995354)221414



№ 29-ი

07 / ივნისი / 2019 წ.

განკარგულება

დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული ისტორიულად ჩამოყალიბებული გეოგრაფიული ობიექტების - უბნების, ქუჩების, შესახვევების და ჩიხების სახელდებისათვის გეოგრაფიული ობიექტების ისტორიული დასახელების შესწავლისა და მოსახლეობის ინტერესების გამოკვეთის მიზნით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიქმნას გეოგრაფიული ობიექტების სახელდების დროებითი სამუშაო ჯგუფი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტისა და 29-ე მუხლის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

შეიქმნას საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფი.

მუხლი 2

სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს სამი თვით.

მუხლი 3

სამუშაო ჯგუფი არჩეულ იქნას შემდეგი შემადგენლობით:

- ა) თავმჯდომარე - ივანე ზაჩიძე;
- ბ) წევრები: ლაშა მახათაძე, სიმონ კვერნაძე, თორნიკე ტალახაძე, სალომე ღონდაძე, ევა ლომთაძე, გიორგი დარბაიძე, ბესარიონ შუბითიძე, კარლო ჯამბურია.

მუხლი 4

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელემენტარულად



კარლო ჯამბურია